პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვებერვალიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 5 თებერვალი № 30 (16767) ფასი 2 კაპ. 1977

ოქტომბრის გზით განვითარების სამოცი წლის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრდა შესანიშნავი სოციალისტური ტრადიციები, რომლებმაც შეისისხლხორცა რევოლუციური ბრძოლისა და აღმშენებლობის უმდიდრესი გამოცდილება. თვალსაჩინოვით ვუფრთხილდებოდეთ ამ ტრადიციებს — ნიშნავს შემოქმედებითად ვავითარებდეთ მათ. გარეგანი მარკეტინგი ასამებს და ამდიდრებს რევოლუციის გამარჯვებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის მებრძოლთა, საერთო ინტერესებითა და იდეალებით შედუღაბებულ მებრძოლთა ყველა თაობის გამოცდილებას. ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, ყველა ერისა და ეროვნების, საბჭოთა საზოგადოების ყველა თაობის მზარდი ერთიანობა ოქტომბრის დიადი საქმის ახალ გამარჯვებათა საწინდარია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

ჩვენი დიდი საბრძოლო უბნები

ახალი შემოქმედებითი გეგმებითა და შთანაფიქრით, ახალი ენთუზიაზმითა და შემართებით დაიწყეს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა მეათე ხუთწლედის მეორე წელი. სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი, ყველა მშრომელისადმი მიმართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილმა, „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, ქ. ტულაში საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიანმა სიტყვამ და სხვა დიდმნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა დოკუმენტებმა კიდევ უფრო გააქტიურეს, გაამაღლეს თვითეული მშრომელის საქმიანობა. უფრო ნათლად უჩვენეს მათ კონკრეტული საბრძოლო უბნები პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის დიდ გზაზე.

და აი ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა კიდევ ერთი, განსაკუთრებული მნიშვნელობის, განსაკუთრებული სიდიდის პოლიტიკური დოკუმენტი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“, რომელსაც საქართველოს მშრომელები, მთელი საბჭოთა ხალხთან ერთად, გულმხურვალედ, დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობით შეხვდნენ. ამ დადგენილების ბრძნულ სტრიქონებში სოციალისტურ სამშობლოს მთელი სახელოვანი ისტორიაა მოცემული. განვამტკიცოთ და ვამრავლოთ ოქტომბრის მონაპოვარნი, დიდი იუბილე ახალი შრომითი წარმატებებით აღვნიშნოთ! — აი ყველა პატიოსანი ადამიანის სურვილი და მისწრაფება.

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის ეს მებრძოლი შტაბი — შეუნელებლად და პრინციპულად რომ იბრძვის წარსული წლების ნეგატიური მოვლენების ბოლოსდე აღსაკვეთად, დიდი დაკვირვებით და თანმიმდევრობით განიხილავს ცხოვრების მომწიფებულ პრობლემებს, ღრმად სწვდება საქმის არსში და მეცნიერული სიზუსტით იმუშავებს ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებს.

უეჭველია, ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმები, რომლებმაც განიხილეს ორგანიზაციორული და პოლიტიკური მუშაობის, შესრულების შემოწმებისა და კონტროლის, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და რეზერვების გონივრულად გამოყენების, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების და სხვა აქტუალური საკითხები — თავიანთ ღირსეულ ადგილს დაიკავებენ საქართველოს ისტორიაში. მაგრამ პლენუმს, რომელიც იმ კვირაში გაიმართა, თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის V პლენუმმა განიხილა ისეთი საკითხები, რომლებიც თვით ცხოვრებით მომწიფდა, და როგორც ყველამ ხოლმე, მთელიანი ჯაჭვის მთავარ რგოლებს წარმოადგენენ: ესენია ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხები.

დიახ, პლენუმმა დიდმნიშვნელოვანი პრობლემები განიხილა და მათი გადაწყვეტის უსწრაფესი, ეფექტიანი ღონისძიებანიც მიიღო. ეს კი განაპირობა პლენუმისათვის მთელმა სიგანგეზმ საზზადისმა, თვით პლენუმზე დიდი გულახდილობის, მაღალი აქტივობის ატმოსფერომ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მომზადებასა და ჩატარებაში კიდევ უფრო ფვალნათლივ გამოჩნდა და გამოიკვეთა მუშაობის ის სიხლხლისვნე, შემოქმედებითი ტალღი, რაც ეხოდენ დამახასიათებელი დღეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის. ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრესის საშუალებით მიმართა რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს, რომ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი, შენიშვნები და წინადადებანი სავაკრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკრბოროტო საკითხებზე. სპეციალურად შექმნილმა კომისიებმა შეაჯამეს დიდძალი ინფორმაცია, რომლებიც ადგილებიდან იყო მიღებული ან პრესაში გამოქვეყნდა. გაიმართა რაიონული და საქალაქო კომიტეტების პლენუმები, პარტიულ-სამეურნეო აქტივისა და პირველადი პარტორგანიზაციების კრებები. მიღებულ იქნა ღრმად შესწავლილი რეკომენდაციები, რომლებმაც ასახვა ჰპოვა პლენუმის დადგენილებაში.

დღის წესრიგის პირველ საკითხად პლენუმმა მოისმინა: რესპუბლიკის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის სპეციალურ ინფორმაციებიდან. ეს ეხებოდა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, ყოველგვარი დანაშაულის და დამახინჯებების აღკვეთის, ახალი ობიექტების მშენებლობის, კადრების შერჩევისა და აღზრდის, ამ დარგებში პარტიული და სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების ამოცანებს, ერთი სიტყვით, მთელი მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებასა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსს.

მაგრამ ვერავითარ საქმეში, დიდსა თუ მცირეში, სერიოზულ წარმატებათა იმედი ნუ გვექნება, თუ კი თუნდაც დროდადრო გულგრილნი ვიქნებით პარტიული, სახელმწიფო, საწარმოო, შრომის, საფინანსო, საგეგმო, ტექნოლოგიური დისციპლინის მიმართ. დისციპლინა ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში — აი ჩვენი უპირველესი საზრუნავი, როგორც ამბობენ, ჩვენი საქმიანობის თავიდათავი.

აი რატომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა სპეციალურად მოისმინა საკითხი: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდეგ და დისციპლინის განმტკიცებისათვის განხორციელებული ღონისძიებანი.

დიდი და კოლოსალურია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მუშაობა დისციპლინის განმტკიცებისათვის. მაგრამ, როგორც პლენუმზე ითქვა, უფრო გულგასახარი და მოსაწონი ის არის, რომ დისციპლინის განმტკიცების ინიციატივა დღეს უკვე თვით შრომითს კოლექტივებში იბადება და ჩნდება. ამის საუკეთესო მაგალითია რუსთაველ მეტალურგთა წამოწყება, რაც მთელმა საქართველომ აიტაცა. „არცერთი ჩამორჩენილი — ჩვენს გვერდით!“ — ამ დევიზით იბრძვიან მთაშიც და ბარშიც, სოფლადაც და ქალაქადაც.

სწორედ პარტიული, სახელმწიფო, შრომითი დისციპლინის განმტკიცების შედეგად არის მოპოვებული ის სერიოზული წარმატებები, რასაც როგორც მეცხრე ხუთწლედში, ისე მეათე ხუთწლედის პირველ წელს მივაღწიეთ ჩვენი სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ უბანზე. თვალნათლივია მიღწევები მრეწველობაშიც, სოფლის მეურნეობაშიც, მეცნიერებისა და კულტურის ფრონტზეც... საამისოდ ბევრი ციფრის, ბევრი ფაქტის მოყვანა შეიძლება. წარმატებები იმიტომაც მოვიპოვეთ, რომ განსაკუთრებით მტკიცდება საშემსრულებლო დისციპლინა.

მაგრამ V პლენუმის მიზითვება ის არის, რომ მიღწეულით თვითკმაყოფილებას არ მივეცეთ, რომ დისციპლინის განმტკიცების ლოზუნგი ყველგან ცხოვრების წესად უნდა ვაქციოთ.

ეს ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ მთელი ძალით დადასტურდა საკითხის განხილვისას — „სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების თაობაზე“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII (1975 წლის) პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

დიახ, ვინც მთელი პასუხისმგებლობით, მთელი შეგნებით, საქმის ნიუვარულით მოეკიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII (1975 წლის) პლენუმის მოწოდებას, რომ „საქართველოს შეუძლია გახდეს, უნდა გახდეს და გახდება კიდევ დიდად განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა და ამასთანავე დარჩება დიდად განვითარებული მეჩაიეობისა და მევენახეობის რესპუბლიკად“, დიდ წარმატებასაც მიაღწია. რესპუბლიკის მეცხოველეთა საერთო წინსულში მეტად დიდია აბაშის, გურჯაანის და ზოგიერთი სხვა რაიონის მშრომელების, კოლუნიტების წვლილი.

მაგრამ, ამასთან ერთად, პლენუმზე მკაცრად გაკრიტიკეს ის რაიონები და მათი პარტიული, სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, როგორც იტყვიან, ხელებდაკაკაწყვეულნი არ მუშაობენ, არ ეძებენ რეზერვებს ან მათ ეფექტიანად ვერ იყენებენ. ბევრგან სუსტია პირუტყვისათვის საკვები ბაზა, ჯერ კიდევ ძალიან ნელა, პირდაპირ ზოზინით ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, ვერ ძაძავენ მოწინავე რაიონებს, რომლებმაც გაბედულად აიღეს მეცხოველეობაში სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის კურსი.

უეჭველია, მოშვებულობის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერაც ყველგან რიდი გახდა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა.

დიდია, მასშტაბურია, პასუხსაგები და ამასთან მეტად საპატიო ამოცანები, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა დაუსახა რესპუბლიკის პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, თვითეულ კომუნისტს, თვითეულ კომკავშირელს, ჩვენს სამეურნეო, საბჭოთა ორგანოებს. ახლა მთავარი ის არის, რომ ყოველი ჩვენგანი ღრმად ჩაუკვირდეს პლენუმის მასალებს, ღრმად აღიქვას მისი თვითეული სტრიქონი, რომლებშიც მშრომელი ადამიანისადმი დიდი სიყვარულია ჩაქსოვილი, გამოხატულია მისი კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის ბეშმარიტი ზრუნვა.

და სწორედ იმაზე, თუ როგორ მივა ეს სტრიქონები თვითეული ადამიანის გულთან და გონებასთან, დამოკიდებულია პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების ბედიც. ამიტომ რესპუბლიკის ხალხქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საზრიანად და შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ იდეოლოგიური მუშაობის მთელი მდიდარი არსენალი — პოლიტმეცადინეობები, ლექციები, მოხსენებები, საგიტაციო საუბრები, თეორიული თუ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, პლენუმის მონაწილეთა შეხვედრები...

როგორც ფაქტები მოწმობს, ბევრი ორგანიზაცია, უწყებები, სამინისტროები, რომელთა მიმართ პლენუმზე გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები ან წინადადებები, აღრიცხავენ მათ. ამასთან ადგენენ პრაქტიკული ღონისძიებათა გეგმებს მათი უსწრაფესი გამოსწორებისა და განხორციელებისათვის.

სულ მალე პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიულ-სამეურნეო აქტივის ნაკალაქო და რაიონული კრებები პლენუმის შედეგებს განიხილავენ და თავიანთი მოქმედების კონკრეტულ ამოცანებს შეიმუშავებენ. საჭიროა ეს კრებები ყველგან ორგანიზებულად, მაღალ დონეზე მოეწყოს, სრულად უპასუხოს მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის სულისკვეთებას.

ლირსეული შეხვედრა — დიდ ოქტომბერს!

სადღესასწაულო ვახტზე

ნ ლიფარი გეგმა — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის — ასეთი დევიზით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანებაში.

ფაბრიკის კოლექტივმა იანვრის თვის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა, ნაცვლად გეგმით დასახული 1 მილიონ 60 ათასი მანეთისა, სახელმწიფოს მიჰყიდა 1 მილიონ 95 ათასი მანეთის პროდუქცია.

• • •

სურათზე: მოწინავე მუშების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) ე. ქოროლიშვილი, ლ. ჭაჭაია, ლ. გალუსტაშვილი და მ. გაბრუაშვილი. ეს ქალიშვილები ჩაბმულნი არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და ამჟამად თვითეული მათგანი ყოველდღიურ დავალებებს 125-130 პროცენტით ასრულებს.

ბ. ბუბუხიას ფოტო.

3-4 თებერვალი

„პრავდის“ ფურცლებზე

ფართოდ გაიშალა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად. ახალ გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ ცალკეული შრომის მოწინავენი, საწარმოთა კოლექტივები, ქალაქებისა თუ მომმე რესპუბლიკების მშრომელები. სათაურით — „დავლიოთ ხუთწლედის მიჯნები“ — „პრავდა“ 3 თებერვლის ნომერში აქვეყნებს ლტების სსრ მშრომელთა სოციალისტურ ვალდებულებებს 1977 წლისა და მეათე ხუთწლედისათვის.

ამავე ნომერში „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი გ. ლებანიძე მკითხველებს აუწყებს („მომსახურების სახლი“), რომ გურჯაანში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, რომელსაც აქვს სილამაზის სალონი, სამკერვალო სახელოსნოები და სხვა სამსახურები.

ამ ახალგახსნილი ობიექტის მახლობლად მწყობრში ჩადგა აგრეთვე საკაფრო ცენტრი, რომელმაც „პირველი მომხმარებლები მიიღო.

საბჭოთა ხალხი დიდი ინტერესითა და კმაყოფილებით ეცნობა და ღრმად სწავლობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“.

„პრავდის“ 4 თებერვლის მოწინავე წერილი „ხახელოვანი თარიღის შესახვედრად“ სწორედ ამ თემას ეძღვნება.

„დედამიწაზე პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებაში კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის, რევოლუციასა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში ხალხთა მასების გადამწყვეტი როლის ფართო გაშუქებით ახალგაზრდობას უნდა ვზრდიდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის სახელოვან ტრადიციებზე, ნათლად უნდა ვაჩვენებდეთ საბჭოთა ადამიანების შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას, გავნვამარტავდეთ პარტიის ეკონომიურ სტრატეგიასა და სოციალურ პოლიტიკას. ამასთან პრინციპულად, საქმიანად უნდა ვაკრიტიკებდეთ ნაკლოვანებებს, ენერგიულად ვეძებდეთ რეზერვებს.

პროპაგანდისტთა და აგიტატორთა, ლექტორთა და მომხსენებელთა, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საპატიო ამოცანა ის არის, რომ დამაჯერებლად ვესაუბროთ ჩვენს ისტორიულ მიღწევებზე კაპიტალიზმის წინაშე სოციალიზმის ფუძემდებელ უპირატესობაზე“, — ნათქვამია მოწინავე წერილში.

ПРАВДА

ზრდის ჯემპრები



 აზერბაიჯანის სსრ მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებები მეათე ხუთწლედისა და 1977 წლისათვის

აზერბაიჯანელებმ რა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, აზერბაიჯანის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, ასალ წარმატებებს მიაღწიეს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, 27 დეკემბერს, დამთავრა 1976 წლის დავალებანი. წარმოების მოცულობა 1975 წელთან შედარებით 8 პროცენტით გაიზარდა გეგმით გათვალისწინებული 6 პროცენტის ნაცვლად, უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების 5,2 პროცენტით ზრდა დავალებით გათვალისწინებული 3,6 პროცენტის ნაცვლად. მნიშვნელოვნად გაიზარდა ძირითადი ფონდების ამოქმედება და გადიდდა ტვირთზიდვის მოცულობა.

სარეკორდო მაჩვენებლებით აღინიშნეს 1976 წელი სოფლის მშრომელებმა. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხამი ბამბის, ყურძნის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის ყველა სხვა პროდუქტის მიყიდვის გეგმები და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები მნიშვნელოვანი გადამტკიცით შესრულდა.

რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური აქტიურობისა და შრომითი ენთუზიაზმის დიდი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმ, დებულებებმა და დასკვნებმა, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვაში პლენუმზე.

საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევასთან, ნავთობის გადასამუშავებელი მძლავრი კომპლექსისა და დიდი წყალსამეურნეო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მშრომელებისადმი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების პასუხად აზერბაიჯანის მშრომელები, რომლებმაც ფართოდ გაიჩაღეს შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს:

მეათე ხუთწლედის დავალება საბრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში ვადამდე — 1980 წლის 7 ნოემბრისათვის შესრულონ. უზრუნველყონ მრეწველობის პროდუქციის მატება ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. ფართოდ დანერგონ ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, 8-ჯერ გაადიდონ ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება. დაიჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი, დანერგონ 870 პროგრესული ტექნოლოგიური პროცესი, აითვისონ 600-ზე მეტი ახალი სახეობის მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება, 4,5-ჯერ გაადიდონ ავტომატური ნაკადური ხაზებისა და დიდმწარმოებლური მოწყობილობის რიცხვი. 20 პროცენტით აამაღლონ მანქანათმშენებლობაში მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტი. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიიღონ 250 მილიონი მანეთი ეკონომიკური ეფექტი. ხუთწლიანი გეგმის გადამტებით გადახდონ 5,5 მილიონი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების კოლექტივები კისრულობენ ვალდებულებას ხუთწლიანი პრო-

(დასასრული მე-2 გვ.).

იქნება მეტი მოსაპირკეთებელი ფილა

ფახრალოს სამადოს ბაზაზე დამთავრდა ბოლნისის ტუფის ახალი კარიერის შენებლობა. ეს ტუფი ბრელ-ყავისფერია. კარიერის წლიური სიმძლავრე სამი ათასი კუბური მეტრია.

დამთავრდა აგრეთვე მოლითის კარიერის რეკონსტრუქცია, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რ. მეგრელიშვილს „საქმარმარილოს“ ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ო. ჯაფარიძემ. სოხუმის მახლობლად დაიწყო ახალი — ჩედიმის მარმარილოს სამადოს დეტალური დაზვერვა.

ხუთწლედის მანძილზე დასახულია წარმოების ინტენსიფიკაცია, შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენება და არსებითი სიმძლავრეების გადიდება მინიმალური დანახარჯებით, თანამედროვე ინსტრუმენტებისა და პროგრესული დანადგარების გამოყენება ბუნებრივი ქვის დამუშავების დროს. მაგალითად, ტექნიკური განახლების მეოთხებით ეკალარის საკარიერო სამმართველოში მოსაპირკეთებელი კირქვის ფილების გამოშვება ერთისამაღ გაიზრდება და წელიწადში ორასი ათას კვადრატულ მეტრს მიაღწევს.

ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივ მოსაპირკეთებელ ქვაზე ქვეყნის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების მკვეთრ გადიდებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია კურსების „საქტენენტის“ საწარმოს, სალიეთის სამადოსა და სხვა ობიექტების რეკონსტრუქცია და სიმძლავრეთა გადიდება, ახალი კარიერების შენებლობა.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს მეცხრე ხუთწლედთან შედარებით თითქმის გავაორკეცოთ მოსაპირკეთებელი ფილების გამოშვება. (საქინფორმი).

მექანიზატორთა სახელოვანი საქმეები

ახმეტა, 4 თებერვალი. (საქინფორმის კორ.). ახმეტის რაიონის მეურნეობების სარემონტო სახელოსნოებსა და „საქსოფლტექნიკის“ გაწყოფილებებში მთავრდება ტექნიკის მომზადება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისთვის. მხარი დაუჭირეს რა უკვარელ და ზუგდიდელ მექანიზატორთა თაოსნობას, ახმეტელები ცდილობენ ვადამდე მოამზადონ სამუშაოდ მთელი სამანქანო-სატრაქტორო პარკი.

გრაფიკის გასწორებით წარმოების ტრაქტორების შეკეთება ქისტაურის, მატნის, მაღრაანის საბჭოთა მეურნეობებში. აქ უკვე შეკეთებულია ყველა მანქანის 90-95 პროცენტი.

ტექნიკის რემონტთან ერთად მეურნეობებში მიმდინარეობს მექანიზატორთა მომზადება.

ცდილობენ რა ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, რაიონის მექანიზატორებმა გადაწყვიტეს 20 თებერვლისათვის შეაკეთონ მთელი ნიადაგდასამუშავებელი და სათესი, ხოლო 1 აპრილისათვის — მოსავლის ასაღები ტექნიკა. 515 ტრაქტორიდან სამუშაოდ მზად არის 465 ტრაქტორი.

მოსკოვიდან გაემგზავრა

3 თებერვალს მოსკოვიდან გაემგზავრა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რევოლუციონერი ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სადამ ჰუსეინი, რომელიც საბჭოთა კავშირში მეგობრული ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

აეროდრომზე სტუმრები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო ერაყის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში მურტადა საიდ აბდელ ბაკი. (საკდესი).

საუბარი კრემლში

4 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო საქმეთა მდივანი ჯ. ს. მეხტა. (საკდესი).

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ი. კაჭარავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ვიქტორ იაკობის-ძე კაჭარავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 3 თებერვალი.

ამხ. ვიქტორ იაკობის-ძე კაჭარავა დაიბადა 1927 წელს. ქ. თბილისში. მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. არის ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

1950 წლიდან ამხ. ვ. ი. კაჭარავა კომკავშირული სამუშაოზეა. სხვადასხვა დროს იგი იყო თბილისის კიროვის სახ. ჩარხსაშენებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მოადგილე, ამავე კომიტეტის მდივანი, საქართველოს ალკკ თბილისის ლენინის რაიკომის მეორე მდივანი. 1953 წელს იგი არჩეულ იქნა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად, შემდეგ იყო ამავე კომიტეტის მეორე მდივანი, ხოლო 1955-1959 წლებში — პირველი მდივანი.

1959 წელს ამხ. ვ. ი. კაჭარავა აირჩიეს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორკონტიკრძის რაიკომის მეორე მდივნად, 1964-1973 წლებში იყო პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგე. 1973 წელს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე. 1973 წლიდან დღემდე მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსად.

დაჯილდოებულია ორი ორდენი, ხოლო 1955-1959 წლებში — პირველი მედალი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ა. მანელაშვილი დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსად.

• • •

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ბანელაშვილი დაიბადა 1925 წელს, სკკპ წევრია 1953 წლიდან, 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. 1943-დან 1945 წლამდე მსახურობდა საბჭოთა არმიაში, შემდეგ მუშაობდა რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებში. 1961 წლიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში ეკავა მთელი რიგი პასუხსაგები თანამდებობანი, მათ შორის. საერთო განყოფილების გამგისა და ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის.

იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ამხ. ა. ა. მანელაშვილი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენითა და მედლებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ვ. ი. კაჭარავა გაათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან. სხვა ამოცანაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ბაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა, როგორც უკვე იციან, ჩვენი გაზეთის მივლინებით აბაშის რაიონში რამდენიმე თვეს იმყოფებოდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მასთან ერთად მუშაობდა მწერალი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლევან სანიკიძე. ეს ვრცელი ნარკვევი მოგვითხრობს ძველი და ახალი აბაშის ცხოვრების ამბავს.

I.

ბაუბარი დიდხანს გაგრძელდა. აუჩქარებლად, შეუფერადებლად ხატავდა მასპინძელი აბაშის ცხოვრების უამურ სურათს; რამდენი წელი გავიდა, რამდენი ხელმძღვანელობა შეიცვალა და ამ კუთხეს მაინც არაფერი ეშველა, საქართველოს ყველა რაიონს ჩამორჩა. ეს უბრალო თვალითაც კარგად ჩანს: აგერ, შედიხარ სამტრედიაში, — შეხედავ ორსართულიან სახლებს, დაკრიალებულ კარმიდამოს, კოხტად გაწყობილ ეზო-ღობეს, ბოგირს და ჭიშკარს და მაშინვე იტყვი, ამ ხალხს არც შეძლება ჰკლია და არც გემოვნებაო. მერე დაიწყება აბაშა და სახლიც დადაბლდება, ეზოში მოლი და ვარდი გაწყდება, ჭიშკრზეც რკინის მტრედები აღარ სხედან. აქ ღობეში მოღრეცილი სარიც კი გეუბნება— გვიჭირს, ბატონო, ხელმოკლედ ვცხოვრობთო. მერე კი, აბაშას რომ გასცილდები და თვალს შეავლებ ცხაკაიას მიდამოებს, სახლებს ისევ მოემატება სიმაღლე და სილამაზე, ეზო-კარიც თვალში გამოიხედავს... ამ სამივე რაიონში კი მიწაც, ხალხიც და ბუნებაც ერთნაირია. მაშ რა მოხდა, რატომ გაიდგა ფესვი ყოველად შეუწყნარებელმა აზრმა, რომ აბაშაში ვერავითარი შრომა ბარაქას ვერ მოიტანს, რომ აქ დიდი საქმე არ გაკეთდება, თუნდაც წელეზე ფეხი დაიდგაო! აბაშის ახალმა ხელმძღვანელმა, უპირველეს ყოვლისა, ეს უკეთური ფიქრი უნდა ამოაგდოს ხალხის გულიდან. არ არსებობს ცუდი და კარგი რაიონი. არიან მხოლოდ ცუდი და კარგი ხელმძღვანელები...

მასპინძელი გაჩუმდა. სათქმელი უკვე ბოლომდე ითქვა. იგი ახლა გურამ მგელაძის პასუხს ელოდა.

— ყველაფერს ეშველება, ჩემო ბატონო, თუ ერთმა გარემოებამ ცოტა ხელი არ შემიშალა: მეგრული ენა რომ არ ვიცი! — თქვა მგელაძემ.

მოსაუბრეს გაეღიმა. გულში მოეწონა, რომ ამ ახალგაზრდა კაცმა სახლიდან წამოღებული ფიცი და მტკიცი არ შეაგება მის სიტყვას: „სიცოცხლეს არ დავიშურებ. ძალღონეს არ დავზოგავ... დღე და ღამეს შრომაში გავასწორებო...

მასპინძელი ბევრის მომსწრე კაცი იყო და არ-უყვარდა მაღალფარდოვანი აღთქმა და აღსარება.

— რა თქმა უნდა, მეგრული ენის ცოდნა არ გაწყენდა, ჩემო გურამ, მაგრამ მე მაინც მგონია, შენი მთავარი ენა აბაშაში შენი მუშაობა იქნება. ხალხი ამ ენას უფრო გაიგებს, უფრო ეხდება, ვიდრე გაპრიალებულ სიტყვებს. იყო დრო, აბაშას დასავლეთ საქართველოს სიმინდის ბელელს ეძახდნენ. დღეს კი საქმე ისე უკეთესმართად შეტრიალდა, რომ თვითონ აბაშელი გლეხი მეზობელ რაიონებში ეძებს სიმინდს. შენი მთავარი საზრუნავი ახლა ერთი რამ არის — დაუბრუნო აბაშას ის ძველი კეთილი სახელი. პირდაპირ გეუბნები, ეს არც ისე ადვილი საქმეა.

— გეცი, ბატონო. მე უკვე გამომიტირეს ჩემმა მეგობრებმა და ნათესავებმა, როცა გაიგეს, რომ სამუშაოდ აბაშაში მგზავნიდნენ.

მასპინძელს ისევ გაეღიმა.

— გამოგიტირეს? შენ ერთი ჭირი უკვე გადაგიტანია, ამხანაგო გურამ! დანარჩენი შენ იცოდე. და შენმა კაცობამ. გახსოვდეს, კვალში ჩამდგარმა გუთანმა უკან დახევა არ იცის, ის მხოლოდ წინ უნდა მიდიოდეს...

უკვე ღამდებოდა, როდესაც გურამ მგელაძე თავის კეთილ დამრიგებელს გამოეთხოვა და გზას გაუდგა.

ათას ცხრაას სამოცდაცამეტი წლის მაისის ღამეს იგი საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს.

II.

ბურიისა და იმერეთის სოფლებში კი არა, ერთ დროს აბაშური სიმინდი თურქეთშიც გაჰქონდათ უცხოელ ვაჭრებს.

საქართველოს გარეთაც იცოდნენ აბაშური მჭადისა თუ ღომის დაუვიწყარი სურნელება, გემო და ნოყიერება. „ჯერ სიმინდი და მერე რაც გინდა!“ — ამბობს მეგრელი კაცი და, მართლაც, აქაური გლეხის სუფრაზე სიმინდს ვერავითარი პური და ხაჭაპური ვერ შესცვლის. მეგრელ კაცს წუთისოფელი უფრო სანდოდ და საიმედოდ ეჩვენება, როდესაც ნალიაში სიმინდი უყრია. ასე იყო ოდითგანვე და ეს სიყვარული დღემდე არ განელებულა აბაშელი კაცის ოჯახში.

ამიტომ ყველა, ყველა და — სიმინდის მოყვანა კი ემარჯვებოდა აბაშელ მიწის მუშას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არსად საქართველოში სიმინდის ყანამ ისეთი ბარაქა არ იცოდა, როგორც საჭილაოსა და ანჯელის ბაღლებში. წელამდე წყალში ჩადგებოდა აქაური გლეხი და მისი ჯალაბის მარჩენალ მცენარეს არა და არ უღალატებდა.

ჯერ კიდევ ომის დროს, როდესაც სოფელს მუშა-კაცი უკირდა და მუშა-საქონელიც, — ამ ბალებში მაინც დიდი მოსავალი მოდიოდა. მაგრამ გამოხდა ხანი და მიწა თითქოს თანდათან დაუძლურდა, ხვავი და სავსება დაჰკარგა. ბოლოს მოხდა დაუჯერებელი ამბავი: 1965-1970 წლებში აბაშის მიწამ ჰექტარზე საშუალოდ ხუთი-ექვსი ცენტნერი სიმინდის მეტი ვერ გამოიღო.

ხუთი-ექვსი ცენტნერი **ერთ ჰექტარზე?!**

არც კაცი და არც ღმერთი სულაც რომ არ შეშველებოდა მიწაში ჩაგდებულ თესლს, ხუთ-ექვს ცენტნერ სიმინდს ისედაც გაიმეტებდა ერთი ჰექტარი აბაშური ყანა.

თანდათან გაუფასურდა შრომადღე, ცარიელზე დარჩენილმა გლეხმა გან-განზე დაიწყო სიარული, ან არადა...

ძნელი სათქმელია ეს ამბავი, მაგრამ სიმართლეს თვალებს ვერ დათხრი.

შუაღამე რომ მოაწევდა, რომელ ყანაში არ გაიგონებდი ტაროს მოტეხის ხმას. ხან აგერ გიტკაცუნებდა მალულად ნასხლეტი ტარო, ხან ეგერ შეირხეოდა ორი კაცის სიმაღლეზე აყრილი ხაშარი.

ის, რაც დღისულად, წესით და რიგით ეკუთვნოდა ნაჭირნახულევ ადამიანს, ახლა ბნელში უწესოდ მიჰქონდა...

ვისაც ღამის ყარაულისა ეშინოდა, იგი სხვა ფანდსა და სახსარს ეძებდა. ღორებს მაინც გავასუქებო. ამბობდა გულში და თუ მოსავალს წვიმაში იღებდა, ამგვარ ოინს აკეთებდა: ერთ-ორ ტაროს გოდორში რომ ჩააგდებდა, მესამეს და მეოთხეს მიწაზე რიკვით დაასობდა, ფეხისგულს დააჭერდა და ლაფში ჩამარხავდა. მერე კი, ჩალას რომ აკრიდნენ, ნაყანებში ღორებს შეუშვებდნენ. აქაური ღორის დინგი კი ლაფში ჩამარხულ ტაროს კი არა, ქვესკნელიდან სიმინდის მარცვალს ამოიღებს.

თუ მშრალი ამინდი იდგა, მაშინ აგერ-ეგერ, სიმინდის ღეროზე, თითო-ოროლა ტაროს დატოვებდნენ და საღამოხანს ჩალას გააყოლებდნენ.

სახადივით მოედო აბაშის სოფლებს ეს უზნეობა: ღამეული ლანდები უკვე აღარ ეძალებოდნენ ერთმანეთს და ხანდახან მეზობელი მეზობელს ისე გულღიად ესალმებოდა, თითქოს აქ, ამ შუაღამისას საკაიდღისო საქმეზე მოსულიყვნენ.

...და როდესაც ფიქრობ, რამ ჩააგდო ამ შავ დღეში აბაშის სოფლები, რამ წაართვა ბარაქა აბაშის ღალიან მიწას, რამ დაუკარგა აქაური შრომისმოყვარე ხალხის მარჯვენას ძალა და ხალისი, — რიონის, ცხენისწყლის, აბაისწყლის, ნოღელის ჭალების პატრონი რატომ ეძებდა გარესამუშაოს საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში, ან რატომ განახევრდა სოფლები, — ონტოფო, ზანათი, სამიქაო, კეთილარი, ქოლობანი, ან კიდევ აბაშელი გლეხი რატომ ყიდულობდა სიმინდს გორისა და შორეული გროზნოს ბაზრებზე, — როდესაც ეძებ ამ ძირდამწვარი ცხოვრების გაჩენის მიზეზს, ისევ და ისევ მაინც ის ერთი პასუხი გადგას ენის წვერზე: ბევრი დავაბრალეთ გვალვას, ბევრი დავაბრალეთ წვიმას, ბევრი დავაბრალეთ რიონის წყალდიდობას, მაგრამ არა, — სასწორის ამ ჯამმა მაინც ვერ გადაწონა ბრალი ადამიანთა, ბრალი ცუდი ხელმძღვანელობისა.

კალამს ეძნელება ამის დაწერა, სიტყვას არ უხარია ბრალის დადება, მაგრამ თუ სათქმელი ბოლომდე არ ითქვა, თუ სიმართლე არქივების ჩრჩილს შეაჭმევნე და მზის სინათლეზე არ გამოტანე, ყველაფერი ფუჭად ჩაივლის და მოიშლება ცხოვრების უპირველესი რჯული: წინა კაცი უკანა კაცის ხიდი ვერ იქნება.

ამიტომ ის, რაც აბაშაში მოხდა, უნდა ითქვას მთელი ქვეყნის გასაგონად. განა ხალხის სიკეთე და გახარება არ უნდოდათ აბაშის მაშინდელ ხელმძღვანელებს, განა ისინიც პარტიის ერთგული ჯარისკაცები არ იყვნენ. მაგრამ სამწუხაროდ, ზოგიერთები, მათდა შეუმჩნევლად, ჩამორჩნენ თანამედროვე სოფლის განვითარების ახალ საფეხურს. გეზი ვერ აუღეს სამეურნეო ცხოვრების ახალ მოთხოვნილებას. შეიძლება იმიტომაც ვერ აუღეს, რომ ამ გაყინულ უმოძრაობასა და დამღუპველ თვითკმაყოფილებას ზემოდანაც აღარავინ ებრძოდა. ქვეყანას თვალი და ყური აკლდა.

მიკერძოებას ნურავინ დაგვწამებს. იმდროინდელი გაზეთები, არქივებში დაცული საბუთები, რამდენი გულახდილი საუბარი რა ხელობის კაცთან არა — ოჯახში, სიმინდის ყანაში. საძოვარზე, რეჰანისა და გერანის ბაღებში, მეურნეობის დირექტორის კაბინეტში, სკოლის სამასწავლებლოში, შემოღამებულ ანჯელის გზაზე და კაცობურის ბორანთან... ყველგან სადაც კი მართალი სიტყვა გველოდა.

და ყოველთვის ერთი და იგივე გრძნობა გვეუფლებოდა: თითქოს რაღაც შეუცნობელი შიშით ეკიდებოდნენ ყოველგვარ სიახლეს, ახალი აზრის დაბადებას, ახალი გზებასა და ყალიბების ძიებას: გაურბოდნენ ყველაფერს, რასაც სულ მცირე რისკი მაინც სჭირდებოდა, რასაც ძველი, ჟამგადასული დავთრები არ ითვალისწინებდა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ლევან სანიკიძე

სწორედ ამიტომ ვერ პოულობდნენ ისინი რაიონში არსებულ და დღემდე გამოუჩინარ ხელუხლებელ მარაგსა და სახსრებს, და მთელი ეს ნივთიერი და სულიერი განძი გამოუყენებელი რჩებოდა.

სოციალისტური შრომის გმირმა ელპიტე არველაძემ გვითხრა, — „ჭკვიანმა კაცმა, ბატონო, ყველას უნდა დაუგდოს ყური, დიდსა და პატარას: თუ რამე კაი გეგონა და კაი მარცვალი მოხვდა ხელში, შინ წეღლის და მეიხმაროს, ჩენჩო კი იქვე გადაყაროსო“.

სწორედ ამ „კაი მარცვალს“ არ ეძებდა სხვათა ნაუბარში აბაშის მაშინდელი ზოგიერთი ხელმძღვანელი.

როგორც დიდი მდინარე ვერ იცოცხლებს პატარა, უსახელო ღელეების გარეშე, ისე ხალხის ხელმძღვანელს „არსებაც არ იქნება გრძელი“, თუ მან არ იცის ერთი დიდი სიბრძნე და ხელოვნება — სხვასაც ყური დაუგდოს და ამ ვეება ქვეყანაზე მარტო თავისი ფიქრისა და შეგონების ანაბრად არ დარჩეს.

სიმართლე ქვეყნად ერთია, მაგრამ ამ სიმართლეს ჰქმნის და ასულიერებს უთვალავი ადამიანის ბედი თუ უბედობა, ნდობა თუ ეჭვი, ტირილი თუ სიმღერა, სისხლი თუ ოფლი, რწმენა თუ ურწმუნობა...

ერის ხმას სათვალავში რომ არ აგდებდნენ. ეს ბევრჯერ დაგვიდასტურა ნახულმა და გაგონილმა.

III.

ბაშის რაიონში, სოფელ ზანათში, ცხოვრობს და მუშაობს ერთი მეტად საინტერესო, ფრიად განათლებული და გამოცდილი კაცი, ჟორესი სვანიძე. ამჟამად იგი სათავეში უდგას ზანათის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობას. სვანიძემ იმდენი წელი დაიდო ზანათელების კეთილდღეობაში, რომ კალამი თავისთავად ითხოვს აღვირს. და ჩვენც არ გვეშურება სიტყვა მისი ცხოვრებისა და შრომის სადიდებლად.

სამამულო ომის პირველსავე დღეებში სამი კაცი ერთად გავიდა სვანიძეების ოჯახიდან, მამა და ორი ვაჟი. ნოვოროსიისკი, როსტოვი, ისევ ნოვოროსიისკი. დაეცა მამა, დაეცა უმცროსი ძმა. ამასაც გაუძლო მაინც დარჩენილმა უფროსმა ძმამ, ჟორეს სვანიძემ, და როდესაც ლეგენდარული მაიორი კუნიკოვი **მცირე მიწაზე** გადასასვლელად მამაც ჯარისკაცებს არჩევდა, სულგამწარებული სვანიძე პირველთა შორის ჩაეწერა მოხალისეთა რაზმში.

კუნიკოვის დესანტი მცირე მიწაზე! კაცობრიობას დღესაც აღელვებს და ანცვიფრებს, თუ როგორ შესძლეს ერთი მუჭა ჯარისკაცებმა ამ სასწულის მოხდენა: კბილებამდე შეიარაღებულ გერმანელთა თვალწინ, ყუმბარებისა და ნაღმებისაგან ადუღებულ ზღვაში, როცა თვითეულ მოიერიშე ჯარისკაცზე მისი წონა სასიკვდილო თუჯი და ფოლადი მოდიოდა, მაინც მოიკიდეს ფეხი ხმელეთზე.

თექვსმეტი დღე და ღამე მცირე მიწაზე, — რატომ თექვსმეტ ჯოჯოხეთში გავლას არ უდრის ეს დღეები და ღამეები! — მაგრამ მამისა და ძმის სისხლი სისხლის აღებას ითხოვდა. და ისიც ამ ცოდვა-კითხვის მიწაზე იბრძოდა უშიშრად, უკანდაუხევლად, სანამ არ დაიჭრა და მეჩვიდმეტე ღამეს ამხანაგებმა სამშვიდობოს არ გაიყვანეს.

დამთავრდა ომი. ნამარი ჯარისკაცი ისევ ლეჩხუმში დაბრუნდა. ცხრა წელიწადი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ იყო. მერე მუშაობდა ცაგერის რაიკომში, მერე ქუთაისის ტრაქტორების ქარხანაში პარტიული კომიტეტის მდივნად. ამასობაში დაამთავრა პარტიული სკოლა, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1970 წელს გაამწესეს ზანათის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად. სვანიძეს მოუხაროდა აბაშაში, რადგან გაგონილი ჰქონდა, ზანათის ნოყიერ მიწაში ჩხირიც რომ ჩაარჭო, ისიც კი გაიხარებსო.

სიტყვა ჩამოგვართვა სვანიძემ:

— ჩემი დღე და მოსწრება სულ მწირი და ხრიოკი მიწის შემყურე ვიყავი. აქ ვი, ვიფიქრე, მხარს ვავშლი და დიდ რაღაცას გავაკეთებ-მეთქი. მაგრამ ჩავედი თუ არა ზანათში და მეურნეობის ასავალ-დასავალს გავეცანი, პირდაპირ დავიზაფრე. ეს საბჭოთა მეურნეობა ორი კოლმეურნეობის ძირზე იყო დაფუძნებული. ორივე ეს კოლმეურნეობა უთაურობისა და უყაირათობის გამო დაშლის პირას მისულიყო. თექვსმეტი წელიწადი ისე იცოდვილა, რომ შრომადღეზე ნახევარი კილო სიმინდიც კი არ გაუნაწილებია. 250 ათასი მანეთი წლიური ზარალი და ნახევრად დაცლილი სოფელი! ეგ რომ მცოდნოდა, რა უბედური მემკვიდრეობა მელოდა ზანათში, აქეთკენ არც გამოვიხედავდი, მაგრამ ახლა რაღა დროს, — ბრძანება უკვე ხელმოწერილი იყო და უკანდახევას კაცი როგორ იკადრებდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. არეულ-დარეულობამ, გულგატეხილობამ, ცუდად მოწესრიგებულმა შრომამ ზანათის მიწა ისე გააბერწა, რომ ჰექტარზე ათი-თორმეტი ფუთი სიმინდი ძლივს მოჰყავდა გლეხკაცს. ნამღვილად გაუგონარი ამბავია! ზონარგაყრილ წიგნში რომ ჩავიხედე, თვალებს არ დავუჯერე- ყოველ გვერდზე წაშლილი, ამოფხეკილი და წითელ-ყვითლად ჩამატებული სტრიქონები, ზონარგაყრილ წიგნში კი ერთი სიტყვის გადასხვაფერება არ შეიძლება; აქ კი ისეთი დომჩალი იყო, რომ წესდების შესაბამისად აღარაფერი გადარჩენოდათ. ეშმაკმა არ იცის, ვინ მართავდა ამ წიგნებს. საზოგადო სარგებლობის მიწა დატაცებული და გასხვისებული იყო. ზოგიერთ გლეხს ორჯერ და სამჯერ მეტი საკარმიდამო ნაკვეთი ჰქონდა, ვიდრე წესდება აკუთვნებდა.

მითვისებული მიწების დაბრუნება რომ დავიწყე, რაიკომის მდივანმა მხარი არ დამიჭირა, — „გლეხობას ნუ გადამირევ, ისედაც არაფერს აკეთებენ და ახლა თოხს სულ აღარ მოჰკიდებენო ხელს!“.

ჩემთვის ყოველად გაუგებარი იყო, რომ ხელმძღვანელი ასე უყურებდა ამ უაღრესად საგულისხმო საქმეს. მერე კი მიეხვდი, ხანი რომ გავიდა, სად იყო ძაღლისთავი დამარხული. სიტყვა რომ არ გამიწყდეს, ამ საგანს მერე დავუბრუნდები, ახლა კი პირველი საერთო კრების ამბავი უნდა გითხრათ.

სოფელში კარგად რომ მივიხედ-მოვიხედე, ხალხს ვამოველაპარაკე, ყველაფერი ავწონ-დავწონე და საბოლოოდ დავრწმუნდი, — საჭირო იყო რაღაც ახალი საშუალებისა და ხერხის გამოძებნა, რომ ეს გაძვალტყავებული მეურნეობა როგორმე ფეხზე დამდგარიყო. შევყარე მთელი სოფელი და გვიან ღამემდე ვილაპარაკეთ და ვიკამათეთ, რა როგორ აჯობებდა, რომ სოფლის ჩარხი წაღმა დაგვტრიალებინა. შრომის დამატებითი ანაზღაურების ახალი წესი და განრიგება რომ ვახსენე, ტაშმა იგრიალა, და მეც პირობა მივეცი სოფელს, ამ საქმეს მოვაგვარებდი, ან არა და, აქედან გუდა-ნაბადს ავიკრავდი.

იმ ღამეს ტკბილად დამეძინა. მაგრამ როგორი იყო ჩემი გაკვირვება, როცა მეორე დღეს რაიკომის მდივანმა დამიბარა და მითხრა, — „შენ ამხანაგო, ტაში ძალიან გუვარებია, მაგრამ ტაშით აშენებული კომუნიზმი ჯერ არავის უნახავსო“. დავიბენი, სიტყვა ვერ ვიპოვნე საპასუხოდ. მერე კი შეებედი: არ მეგონა ტაშის დაკვრა თუ აკრძალული იყო-მეთქი.

მდივანმა ხმა არ გამცა. განყოფილების გამგეს გამოუძახა და უთხრა: „ამ დემაგოგს წუხელ კომუნიზმი დაუმყარებია ზანათში, კრება მოუწვევია და ხალხს შეპირებია, ერთ-ორ წელიწადში ქერის ორმოში ჩავსვამთო. საკითხი მოამზადე და რაიკომის ბიუროზე შემოიტანე. ამ წინამასწარა ბელადის დასასჯელად ჯერ მარტო ის კმარა, რომ საერთო კრება ჩვენს დაუკითხავად მოიწვია“.

ესეც ახალი ამბავი იყო ჩემთვის: კრება რომ მომეწვია, ამას რაიკომის მდივანთან შეთანხმება რად სჭირდებოდა!

— ჩვენ ასეთი წესი გვაქვს და ამ წესით უნდა იმუშაო. ეს კარგად დაიხსომე, თორემ გამოგიგზავნი კომისიას და... მერე ყველაფერი შენს თავს დააბრალე! — მკაცრად გამაფრთხილა მდივანმა.

ჯერ სკამი არ გამეთბო და უკვე შემოწმებას მიპირებდნენ.

შემოწმებას?

არა, „საქმის“ შეკოწიწებას.

გულმა მაშინვე მითხრა, ამგვარ ხელმძღვანელთან მუშაობა ღმერთმა გაშოროსო...

დავწერე განცხადება, გამათავისუფლეთ-მეთქი. არ გამიშვეს. მხოლოდ ერთხელ კიდევ გამაფრთხილეს: დინჯად იყავი და მუშაობა გამოასწორე, თორემ პარტიის წევრად მოსულხარ და აქედან უპარტიოდ წახვალო, ხარ და აღარ იქნებიო“...

თექვსმეტი წელიწადი მხოლოდ ზარალი მოჰქონდა ამ მეურნეობას. ზანათელი გლეხები გარესამუშაოს ეძებდნენ. მერე აგერ გამოჩნდა გამოცდილზე გამოცდილი სამეურნეო მუშაკი, ნამარი კაცი, ხელებში ცეცხლი რომ ეკიდებოდა; ვინც ცოტა მეტი ფიქრი და ძიება გაბედა, ვიდრე ეს აქაური ხელმძღვანელების მიერ დამკვიდრებულ წესებში ეფარა. მაგრამ ამ კაცს არამცთუ მხარი არ დაუჭირეს, არამედ ყველა თათბირზე და კრებაზე კიცხავდნენ და ამაგებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მუშაობის გარდაქმნა მოითხოვა.

რაც კი დააპირა, ყველაფერში ხელი შეუშალეს. ისეთი უბრალო საქმეც კი არ დაანებეს, როგორც ჩალის დარიგების ახალი წესი უნდა ყოფილიყო. ერთხელ სვანიძემ პირდაპირ ყანიდან გაატანა გლეხს მისი კუთვნილი ჩალა. ამ „თვითნებობის“ გამო მეურნეობის დირექტორი კინაღამ პარტიიდან გარიცხეს, იმ გლეხს კი ჩალა უკანვე მოატანინეს.

რატომ, რა მოხდა, ქვეყანა დაიქცა? არა, თურმე ოდესღაც დადგენილი „წესი“ დაარღვიეს: ჯერ ყანიდან ჩალა მეურნეობის საერთო საზვინეში უნდა მიგეტანა; აქ დაზვინავდნენ და როგორც წესი, ჩალას შრომადღეებზე გაანაწილებდნენ მხოლოდ მომდევნო წელიწადს.

ამოდენა ზვინი ხელახლა უნდა დაიშალოს და ჩალა კონა-კონად გადაითვალოს, მერე ეს დაწიწილაკებული ხორომი ისევ მანქანას უნდა დაუდო, შენს ეზოში მიიტანო და ხელახლა დაზვინო.

ამდენი აშლა-დაშლა, ამდენი გადატან-გადმოტანა გამხმარ ჩალას ფოთლიან-ღეროიანად ამტვრევდა და რასაც ქარი ვერ წაიღებდა, წვიმა ვერ დაალპობდა, იმ ნარჩენს არავითარი ყუთი აღარ ჰქონდა.

ეს იცოდა ყოველმა გლეხმა და ერთხმად მოითხოვდნენ, ჩვენი წილი ჩალა ყანის მოჭრისთანავე გაგვიანაწილეთო.

მაგრამ ვინ იყო გამგონი: სახელმწიფო არაფერს ზარალობდა, გლეხის ბაგას კი ზოგიერთი ხელმძღვანელი არ დაეძებდა.

საქმეს და საზრუნავს თავი რომ ვერ გაართვეს, მაშინდელი ხელმძღვანელები ყოველად შეუწყნარებელ გზას გაჰყვნენ:

პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე ისე თუ ისე პირნათლად რომ გამოსულიყვნენ, კარგი მესვეურის სახელი რომ მოეხვეჭათ, ადგნენ და მომალეს დიდი მართალი სასწორი — ჩვენი ცხოვრების საფუძველთა საფუძველი. გათიშეს, ერთმანეთს დააშორეს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები.

ზანათში მომხდარი ამბების გარდა, კიდევ მრავალი შემთხვევა ადასტურებს ამ სავაებო მოვლენას.

1958-1961 წლებში ტყვირის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა ალექსანდრე კუცია, — ადამიანი ყოველად პატიოსანი და გულმხურვალე, აბაშის ძველი მკვიდრი და და მისი ავკარგის პირუთვნელი განმსჯელი. თავმჯდომარეს გული უკვდებოდა, როდესაც ხედავდა ზერე-ქვერედ გათოხნილ ყანებს.

— სანამ ამ სვრელს ბოლომდე მიიტან, კაცო, ეს ბალახი ისევ წამოგეწევა უკან! ცოტა ღრმად მოჭიდე თოხისპირი მიწას! — ეუბნებოდა იგი გულაყრილ მთოხნელებს, თუმცა თვითონაც კარგად იცოდა, ცარიელი სიტყვა ცარიელ ნალიას ვერ გაავსებდა.

კარგმა ვაჟკაცმა ერთი ჰექტარი მიწა რომ გათოხნოს, ნაღდი ათი დღე მაინც უნდა იმუშაოს. ამ დამქანცველი შრომის საზღაურად კი ოცოდე მანეთი თუ შეხვდებოდა კოლმეურნეს. ამიტომ ამ საქმეს დიდი გულისყური სჭირდებოდა, — აუცილებელზე აუცილებელი იყო დახარჯული შრომის გადაფასება, და ტყვირის კოლმეურნეობის თავმჯდომარეც ყველა თათბირზე, ყველა შეკრებაზე შრომის გახაღდების არსებული წესის გადასინჯვას მოითხოვდა. ერთხელ იგი გახარებული დაბრუნდა თბილისიდან, „როგორც იქნა, ჩვენი შეისმინეს და შრომის პრემიული ანაზღაურების უფლება მოგვცესო“, — ჩამოუტახა ამბავი სოფელს. დაიმედებულმა ხალხმა კოლმეურნეობის საერთო კრებაზე პრემიის რაოდენობა დააწესა და სამუშაო თადარიგს შეუდგა.

გულიანად იშრომეს იმ წელიწადს ტყვირელმა გლეხებმა. ნაჭარბმა მოსავალმა თითქმის ორწილად გადაამეტა წლიურ გეგმას, და როდესაც გამგეობის წევრები დასხდნენ და ყველაფერი შეაჯამეს, ყველაფერი იანგარიშეს და შეაჯერეს. — გაოცებული დარჩნენ: რჯულზე კი იმუშავეს, მაგრამ ამდენს მაინც არ მოელოდნენ,—შრომადღეზე შვიდი კილო სიმინდი მოვიდა. დიდი და პატარა მოუთმენლად ელოდა, როდის დაიწყებოდა მოსავლის განაწილება, მაგრამ ამ სიხარულს დიდი დღე არ ეწერა თურმე.

როდესაც რაიონის ხელმძღვანელებმა გაიგეს, ტყვირის კოლმეურნეობაში შრომადღეზე შვიდი კილო სიმინდი უნდა განაწილდესო, მაშინვე თავმჯდომარე გამოიძახეს და შავი დღე დააწიეს, — გაგონილა ამოდენა პრემიის გაცემა აკრძალეს. — ერთი კილოც გეყოფათო.

ასე კრეჭდნენ და პარსავდნენ ისინი ბრალიანსა და უბრალოს, რომ რაიონში ყველაფერი ერთი სიმაღლისა და ერთი სიგანისა ყოფილიყო. ასე უფრო ადვილი იყო ცხოვრებაც და ხელმძღვანელობაც...

(გაგრძელება იქნება).

სოფელ ნოღოსაფის ფერხაში

„ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს ეგზავნება სურნელოვანი ქართული ჩაი, რომელსაც თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა უშვებს. ორი სახეობის პროდუქცია — „საქართველოს თაიგული“ და „ექსტრა“ ბარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოდის.

სურათებზე: ზემოთ — თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის მოწინავე მუშა ნათელა ნანობაშვილი; ქვემოთ—უფროსი ტიტესტერი ხუტა გახარია, ლაბორატორიის გამგე ეკატერინე ღვინიაშვილი, უფროსი ტიტესტერი ნანა კინწურაშვილი და ლაბორანტი თამარ სუხიშვილი ამოწმებენ ჩაის ხარისხს.

ს. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხარისხის ნიშნით

ერთი კვირის მანძილზე საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზის სცენაზე გამოდიოდნენ ქართული საესტრადო კოლექტივები, პროფესიონალები, მოყვარულები, თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ансამბლი „მზიური“, კულტურის სახლებთან არსებული ბავშვთა ансამბლები, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის თვითმოქმედი კოლექტივები. ეს იყო ქართული ესტრადის თავისებური გამოცდა, რომელიც მოაწყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა და მაწვე ამ სასარგებლო და მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით მოიწვია მუსიკისმცოდნენი, კომპოზიტორები, სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან.

პლენუმმა მოისმინა ансამბლ-75-ის ახალი დადგმა, ი. ბარდანაშვილის როკ-ოპერა „ალტერნატივა“, ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო ორკესტრის ვოკალურ-ინსტრუმენტული ансამბლ „ორერას“, ქართველ კომპოზიტორთა საავტორო გამოსვლა.

ეგრეთწოდებული მსუბუქი ჟანრის მოყვარულებმა სერიოზული დაინტერესება გამოიჩინეს და კონცერტებს ხალხი არ დაკლებია.

კონცერტების შემდეგ საქართველოს ფილარმონიის მცირე დარბაზში შეჩერებნენ მუსიკოსები ნანახისა და მოსმენილის შესაჯამებლად.

პლენუმის დასკვნითი შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მუსიკისმცოდნე გ. ორჯონიკიძემ. საესტრადო ხელოვნება, თქვა მან, ჩვენი ხალხის და მეტადრე კი მომავალი თაობის, ახალგაზრდობის სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. დიდია მისი ზემოქმედების ძალა ადამიანზე, მისი მხატვრული ზეგავლენა სულ უფრო და უფრო მასშტაბური ხდება. ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტია და ხელისუფლება საესტრადო ხელოვნებას ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ. ამის დაბუტრიგ ის, რომ ბოლო ხანებში შეიქმნა ახალი პროფესიული თუ თვითმოქმედი საესტრადო კოლექტივები, რომელნაც ყველა პირობა აქვთ შექმნილი თავიანთი ხელოვნების სრულყოფისათვის.

პლენუმზე უფრო ნათლად გამოჩნდა ის სატკივარი, რომელიც საერთოდ აქვს ჩვენს ესტრადას, ის სიძნელეები, რომლებიც გადალახვას მოითხოვს და პრობლემები, რომლებიც თვით დრომ და მსმენელთა გაზრდილმა მოთხოვნილებებმა წამოაყენა ამ ჟანრის წარმომადგენელთა წინაშე.

გ. ორჯონიკიძემ სინანულით აღნიშნა, რომ პლენუმზე ვერ მიიღო მონაწილეობა საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრმა „რერომ“ და არ მიიჩნია საჰატიოდ ის მიზეზი, რომლითაც ორკესტრის ხელმძღვანელობა შეეცადა თავი ემართლებინა პლენუმის მუშაობისაგან თავის არიდების გამო.

მომხსენებელმა აღნიშნა საესტრადო კოლექტივების დაოსტატების ამაღლების საერთო დონე, რაც-იც დიდი და საპატიო წვლილი მიუძღვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას, სადაც ძირითადი სამუშაო „ლაბორატორია“ აქვთ ქართულ პროფესიულ საესტრადო კოლექტივებს.

პლენუმის მუშაობისა და ქართული-საესტრადო მუსიკის მდგომარეობის შესახებ ძირითადი მოხსენება გააკეთა მუსიკისმცოდნე ევ. მაჭავარიანმა. მან დაახასიათა ქართული საესტრადო კოლექტივები, მათი დღევანდელი მდგომარეობა, გააანალიზა მომართულებები, რომლისკენაც იგრძნობა საესტრადო მუსიკის ლტოლვა ჩვენს რესპუბლიკაში, შეეხო რეპერტუარს, ილაპარაკა თვითმოქმედებაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა: როგორც ეს მოსალოდნელი იყო, პლენუმზე ერთხელ კიდევ დამტკიცდა ვოკალურ-ინსტრუმენტულ ансამბლ „ორერას“ მაღალი პროფესიული სამეამსრულებლო დონე, დახვეწილი გემოვნება, ტრადიციებისადმი სათუთი დამოკიდებულება და ნატიფი ვოკალური ოდერადობა, როგორც მთლიანი ансამბლისა, ისე ცალკეული სოლისტების და განსაკუთრებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. ბრეგვაძისა...

თვითმოქმედი კოლექტივებიდან სიახლის გრძნობით გამოირჩეოდა ბავშვთა ансამბლი ვოკალურ-ინსტრუმენტული ансამბლი. თუ კი ასე სერიოზულად გაგრძელა მუშაობა, ამ ансამბლს ყველა პირობა აქვს ჩადგეს ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო საესტრადო კოლექტივების რიცხვში და ეს მოვლენა პლენუმის ერთ-ერთ სასიამოვნო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.

ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება სოხუმელთა ансამბლმა ძირითადად რეპერტუარის სიჭრელისა და შესრულების მანერის შედარებით დაბალი გემოვნების გამო. პოტენციური შესაძლებლობები ამ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ансამბლისა დიდია და ჩვენ ყველა უფლება გვაქვს მოველოდნენ ხანში მისგან მოველოდეთ უფრო შთამბეჭდავ ხელოვნებას...

კვლავ ბრწყინვალედ წარმოგვიდგა „მზიური“. ეტყობა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხელმძღვანელობა სათუთად, დიდი გულისყურით ეკიდება ბავშვების მუსიკალური განვითარებისა და აღზრდის საქმეს.

დაუმთავრებელი შთაბეჭდილება მოახდინა ი. ბარდანაშვილის ოპერა „ალტერნატივამ“. ансამბლ-75-ის გადაწყვეტილება, ხელი მოეკიდათ ამ ჟანრის ნაწარმოებისათვის, საგულისხმოა. ოპერაში გამოვლინდა დიდად სასიამოვნო ფაქტი — შემსრულებელთა დიდი შესაძლებლობები.

ბევრი ხარვეზი აქვს ლიბრეტოს, რომელსაც, ვფიქრობ, სერიოზული გადამუშავება ესაჭიროება, მუსიკის ცალკეული კარგი ფრაგმენტები საერთო სურათს ვერ ცვლის.

სერიოზული მუშაობა ელის ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო ორკესტრს რეპერტუარის გამრავალფეროვნებისათვის... ეს პროფესიული მუსიკალური კოლექტივი, რომლის მიმართ ყველაზე მაღალი კრიტერიუმებით უნდა ვიმსჯელოთ.

...მუსიკალური ფრაზირების მეტ სიუხვეს მოველოდით უნივერსიტეტის საესტრადო ორკესტრისაგან...

ძირითადი მომხსენებლის შემდეგ აზრი გამოთქვა მუსიკისმცოდნე პ. ხუციშვილ. მან კონკრეტულად ансამბლ-75-ზე ილაპარაკა და აღნიშნა მისი ზომაზე მეტი ხმამაღალი ქერადობა, შეეხო კლასიკური და საესტრადო კოლექტივების თანაფარდობის საკითხს.

პლენუმის მუშაობის ერთ-ერთ მისაბაა თავისებურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან მოისმინა ახალგაზრდა არქიტექტორის, არაპროფესიონალის, საესტრადო მუსიკის მოყვარულის თ. გიორგაძის სიტყვა, მისი, როგორც მსმენელის, მოსაზრებები...

პლენუმზე გამოითქვა აზრი, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა მეტი დახმარება უნდა გაუწიოს თვითნასწავლ კომპოზიტორებს...

მთავარი მომხსენებლის აზრი და შეფასებები ძირითადად გაიზიარეს კომპოზიტორებმა ს. ნასიძემ, ვ. აზარაშვილმა, ნ. მამისაშვილმა, ნ. გიგაურმა, ა. რაქვიაშვილმა.

მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს ს. ტუმრებმა: მოსკოველმა მუსიკისმცოდნემ ი. იაკუშენკომ, სომეხმა კომპოზიტორმა ს. შაქარიანმა, ლიტველმა მუსიკისმცოდნემ ლ. შალტიანისმა, ტაჯიკმა კომპოზიტორმა ი. მამედოვმა, ლენინგრადელმა კომპოზიტორმა ა. ეურბინმა, მოსკოველმა მუსიკისმცოდნემ და კომპოზიტორმა ე. დოლგოვმა.

ა. ეურბინის, ი. იაკუშენკოს, პ. ხუციშვილ, ა. რაქვიაშვილის, ე. დოლგოვის უარყოფითი აზრი როკ-ოპერის შესახებ არ გაიზიარა და პრინციპულად საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა მოსკოველმა მუსიკისმცოდნემ ნ. ზეიფერმა, თუმცა მანაც აღნიშნა, რომ სპექტაკლს ჯერ კიდევ ესაჭიროება დამუშავება.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ გ. ორჯონიკიძემ. მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ მსჯელობისას დარბაზში არ იყვნენ კულტურის სამინისტროს, ქართველ კომპოზიტორთა უფროსი თაობის წარმომადგენელები, დასძინა, რომ სულ მალე ხანში ეაუბარი სახელმწიფო საესტრადო ორკესტრ „რეროს“ შესახებ მაინც შედგება...

გ. ორჯონიკიძემ აღნიშნა საქართველოს საესტრადო კოლექტივების საშემსრულებლო საერთო დონის ამაღლება და აღუთქვა დამსწრეთ, რომ კომპოზიტორთა კავშირი, საქართველოს ფილარმონიასთან ერთად ძალას არ დაიშურებს რესპუბლიკაში ამ ჟანრის მომავალი სრულყოფისათვის.

ზ. რცხილაძე.

ესტრადის დიდი გამოცდა

დამთავრდა საესტრადო მუსიკის დღეები — მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეთაოცე წლისთავისადმი

ი ღ ბ ა ლ ი ც ამას ჰქვია...

ორი მანქანა ლაბარიით

ამბროლაური. (საკ. კორ.). როგორც ვიოწყებოდით, ერთი თვის წინათ რაიონის საავადმყოფოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ავტომანქანის მძღოლმა თ. ბედენაშვილმა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1976 წლის მეთორმეტე გამოშვების ლატარიის ბილეთით ავტომანქანა „ყეგული-2103“ მოიგო. ბედენაშვილის ოჯახის ამ სიხარულს სულ მალე კიდევ უფრო დიდი სიხარული დაემატა. მათ შეძენილ „დოსაფის“ ლატარიის 1976 წლის მეორე გამოშვების 119298 სერიის № 030 ბილეთს მოგებად ხვდა ავტომანქანა „ვოლგა-24“.

იღბალიც ამას ჰქვია.

ვ. ციბრეკიძე.



ამინდი

დღეს აფხაზეთში მცირე წვიმაა მოსალოდნელი, ღრუბლებს დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 10-15 გრადუსი სითბო, აჭარაშიც მცირე წვიმა იქნება, იქროლებს სამხრეთ-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 6-11 გრადუსი სითბო, ჟოლეთის დაბლობზე აღმოსავლეთის ძლიერი ქარი იქროლებს, ტემპერატურა — 10-15 გრადუსი სითბო.

სამხრეთ ოსეთში, ბორჯომის ხეობაში მშრალი ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 3-8 გრადუსი სითბო, ქართლში უმეტესად უნალექო ამინდი იქნება, ზოგან ნისლი, ტემპერატურა — 3-7 გრადუსი სითბო, კახეთში ზოგან მცირე ნალექი და ნისლია მოსალოდნელი, ტემპერატურა — 2-6 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო ნალექი, ნისლი, ტემპერატურა — 2-4 გრადუსი სითბო.

სპარტაკ ბალაშვილი

წარადა ჩვენგან გამოჩენილი ქინომსახიობი, ქართული საბჭოთა კინოს მგზნებარე რაინდი **სპარტაკ ბალაშვილი,** დაუდეგარი, მაძიებელი ხელოვანი, რომელიც ოთხი ათეული წლის მანძილზე დაუღალავად იღვწოდა და მშობლიური ხალხის, საყვარელი ხელოვნების სამსახურში დაიღალა.

სპარტაკ ბალაშვილი დაიბადა 1914 წელს ქ. თბილისში. მამამისი ლევანი, აღილხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა, სახალხო სკვერის ნიჭიერი მსახიობი იყო, რომელსაც კარგად იცნობდნენ ხარფუხის, ორთაჭალის, ავლაბრის, ავჭალის აუდიტორიებში, ხოლო 1923 წელს რუსთაველის სახელობის თეატრში მას სასცენო მოღვაწეობის 25-ე წლისთავიც გადაუხდიეს...

1935 წლის ზაფხულში რეჟისორი მ. ჭიაურელი, რომელიც თავისი მომავალი ფილმის „არსენას“ გმირს დაეძებდა, შეხვდა წარმოსადეგი გარეგნობის ვაჟკაცს და მოიხიბლა მისი ტანადობით, მატყვალი თვალებით, ოქროსფერი ხმით. არსებითად ამ შეხვედრამ გადაწყვიტა სტუდიო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტის სპარტაკ ბალაშვილის კინოხელოვნებაში მოსვლა.

გამორჩეული ელვარებით აკიაფდა 1935 წელს ეკრანებზე ამ მოღიმარი ბერგი ვაჟკაცის არსენა. თაობებს ახსოვთ შეს შემდეგ მთელი გალერია ეკრანული სახეებისა, რომლებშიც გამოსჭვიოდა მსახიობის უტყუარი ნიჭი და უშუალობა, პატრიოტული შემართება, ზნეობრივი და ემოციური დამუხტულობა. ქართული ფილმები „დიადი განთიადი“, „ოლოხეთის ჩირაღდნები“, „ქაჯანა“, „გიორგი საააკაძე“, „პოეტის აკვანი“, „ვეფრეგბა“ და ბევრი სხვა — ეი სიფეხურები, რომლებიც განლიო მსახიობმა ბრწყინვისაკენ სწრაფვით. ომანასკენელი პერიოდის ფილმებიდან მაყურებელს ყველაზე მიტად გულში ჩასწვდა მწყემს მარტას დაუვიწყარი სახე, რომელიც მან ფილმ „თეთრ ქარავანში“ შექმნა.

ესტრადის დიდი გამოცდა

დამთავრდა საესტრადო მუსიკის დღეები — მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეთაოცე წლისთავისადმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი; კინოსტუდია „ქართული ფილმი“.

ჭ ა დ რ ა კ ი

კ ე რ ვ ე ს ი ს მ ე მ ო რ ი ა ლ ი

20 თებერვალს ტალინში იწყება გამოჩენილი საბჭოთა დიდოსტატის პაულ კერესის პირველი მემორიალი.

ამ საერთაშორისო ტურნირში 16 მონაწილეა: მსოფლიოს ექსჩემპიონები ტალი (რიგა), სმისლოვი (მოსკოვი), დიდოსტატები ბრონშტეინი (მოსკოვი), რომანიშინი (ლვოვი), საერთაშორისო ოსტატი ნეი, ოსტატები კიარერი, პეუეირი, პოპლა, (ყველა—ტალინიდან), ოკუნევლები—(დიდოსტატები ულმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ენციკერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ვილიმბერგენი (უგოსლავია), ბისჰაიერი (ამერიკის შეერთებული შტატები), ჩომი (ინგლრთი), საერთაშორისო ოსტატები პშიბილი (ჩეხოსლოვაკია), ორშეტენი (შვეიცია) და პოუტიაინენი (ფინეთი).

„დინამოს“ პირველოგაზე

„დინამოს“ საკავშირო პირველობის წახვეთფინალამ თბილისში ძლიერი შემადგენლობა შემოიკრიბა. 44 მონაწილეს შორის 14 ოსტატია, ფინალში კი სულ ხუთი გამარჯვებული გადის. შეჯიბრება ტარდება 8 ტურად, ე. წ. „შვეიცარული სისტემით“. ამაკვე დროს ამჯერად მოქმედებს წესი, რომელიც რეკომენდებულია დიდოსტატ დავით ბრონშტეინის მიერ. ამ წესის მიხედვით პარტიები საერთოდ არ გადადიდება (რათა მოჭადრაკეებმა სხვის დახმარებას არ მიმართონ). როდესაც თამაშისათვის განკუთვნილი 4 საათი იწურება და ბრძოლა მაინც გრძელდება, მოჭადრაკეებს ეძლევათ საბოლოო „ლიმიტი“ — თითო საათი. ეს რთული სისტემა მეტად ამწვავებს სატურნირო ბრძოლას.

პირველ ტურში მეტად საინტერესო იყო საერთაშორისო ოსტატ მაია ჩიბურდანიძის პარტია. იგი შავებით ეთამაშებოდა ოსტატობის კანდიდატ აირატაკოვს(ბაქო). მსოფლიოს ექსჩემპიონობის პრეტენდენტმა შავებით სიცილიური დაცვის ე. წ. „დრაკონის ვარიანტი“ აირჩია, რომელსაც აქამდე იშვიათად მიმართავდა. მეტოქემ სხვადასხვა მხარეს გაკეთეს როქი და ვამარჯვებისაკენ მიისწრაფოდნენ. ჩიბურდანიძემ შესწორა ხარისხი და მიიღო შეტევა. ბაქოელი თავს კარგად იცავდა. საბოლოო ანგარიშით მას ფიგურა დარჩა სამ პაიში. მეტოქეთა შეხაძლებლობები გათანაბრდა და მალე ყაბმი აღინიშნა.

მეორე ტურში მაია ჩიბურდანიძე ყაბმაზე შეუთანხმდა შავებით მოთამაშე ოსტატობის კანდიდატ ბაბაჯანოვს (ტაშკენტი).

ორი ტურის შემდეგ ორ-ორი ქულა აქვთ ოსტატებს უბილავას, ბუსლაევს (ორივე თბილისი), ბობოლოვეზს, მურატოვს (ორივე მოსკოვი) და „დინამოს“ ჩემპიონს ნორჩ მოჭადრაკეთა შორის ოსტატობის კანდიდატ აზმაიფარაშვილს (თბილისი).

გ. გამრეკელი.

ა მ ო კ ლ ე ბ ი

კალათბურთში. ცსკა-მ საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ჩვენი სამნაწილიანი ანგარიშით კიევსაში დაამარცხა ბელოზერსკი „ელგერი“ — 114:96 (52:44).

ქალაქ ჩემპიონატი გრძელდება ორ ქალაქში — ჩერნოვცში და ფრუნზეში. ქვეყნის მრავალეტაპიანი ჩემპიონმა რიგის ტტტ-ს გუნდმა სძლია ალმა-ათის „უნივერსიტეტს“ — 80:68 (35:38), ნოვოსიბირსკის „დინამომ“ — „სერპ ბ მოლოტს“ — 75:68 (40:39), ხოლო მოსკოველმა დინამოელებმა — ვილნიუსის „კიბირკშტიტსს“ — 84:66 (36:30), „კიბირკშტისმა“ კი თავის მხრივ დაამარცხა პეტნის „სპარტაკი“ — 93:87 (42:41). ფრუნზეს ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერი გახდა მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“, რომელმაც ბოლო მატჩში გაიმარჯვა სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ — 117:106 (62:54). მას ახლა 13 ქულა აქვს. სხვა თამაშები ასე დამთავრდა: ლენინგრადის „სპარტაკი“-ცსკა — 90:70 (31:34), კიევის „დინამო“-ტაშკენტის სკიფ-ი — 87:77 (40:46), „დინამო“-ცსკა — 81:74 (40:40), „ურალმაში“-სკიფ-ი — 81:69 (43:33), „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 91:82 (47:43).

მძლეოსნობა. სულ ერთი კვირის წინათ ჩეხოსლოვაკიელმა ჭელენა ფიბინგეროვამ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბარბელის კვრაში. და აი დახურული დარბაზებისა და ღია სტადიონებისათვის ორივე მსოფლიო რეკორდის მფლობელმა ბულგარეთის „ოლიმპიურ დარბაზში“ საერთაშორისო შეჯიბრებაში კვლავ გაიმეორა თავისი მიღწევა — ბერთვი კრა 21,66 მეტრზე.

ფრენბურთი. თბილისის „სპარტაკის“ გუნდმა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩში დამარცხა შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერი — გროზნოს „ავტომობილისტი“ — 3:0.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

პირველი პროგრამა

7 თებერვალი

10.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“; მხატვრული ფილმები: „გამსვლელი პაიკი“; „ერთი მოთხრობის ფინალი“,
16.55 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — მხატვრული ფილმი „ექიმი მიდის ფეხბურთზე“; დოკუმენტური ფილმი „ქართული მონეტები“. ფერადი გამოსახულებით,
17.30 — ეიმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია,
18.20 — „ვეტერანი“ — საინფორმაციო პროგრამა,
18.40 — „ავადმყოფობა უკან იხევს“ — განმეორებითი,
19.25 — „სამყაროს ეკო“,
19.45 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“ (გადადმოცემა მოსკოვიდან),
20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.00 — „ცისკრავს მიხეილ ლერმონტოვი“. ფერადი გამოსახულებით,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი. მხატვრული ფილმი — „ლაზარე“. ფერადი გამოსახულებით.

8 თებერვალი

11.00 — „ჩვენი პუშკინი“ (გადადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი. დოკუმენტური ფილმი „ეროვნული ბიბლიოთეკა“. მხატვრული ფილმი „ჭოჩორა“,
17.15 — „ციროდენას ეკრანი“,
18.30 — განცხადებები,
18.35 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა,
19.05 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი. დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები ლადო გუდიაშვილთან“. ფერადი გამოსახულებით,
20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — „სახელმწიფო პრემიის მესაპოვარეზე“,
21.00 — „ინონარკვეევი,
21.15 — „მეგობრები გვილოკვეენ“. ფერადი გამოსახულებით,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ამხანაგური მატჩი ფეხბურთში „დინამო“ (თბილისი) — „ოლიმპია“ (ლიუბლიანა) — ევროფინანსური.

9 თებერვალი

10.30 — მხატვრული ფილმი „უმზითვო“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.05 — „ინონმოგზაურთა ლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.05 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმები: „საქართველოს ქუჩენსნები“, „ხმელთაშეაზღვის ირგვლივ“, ფერადი გამოსახულებით,
17.45 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — მხატვრული ფილმი „გია მიდის ყამირზე“,
17.55 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა,
18.25 — მოსწავლეთათვის — „ანმართველობა და ხუთეანი“,
19.10 — „ვერონსაკი“,
19.40 — „სპორტული მიმოხილვა“,
20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — „ინონერტი,
20.50 — „მეცხრე სტადიონი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „დიადი ოქტომბერი 60 წლისაა“ — „რევოლუციის გმირი ეკრანზე“.

10 თებერვალი

10.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმები: „სიმღერით ცხოვრებაში“; „რუსთაველის ნაკვალევზე“; მხატვრული ფილმი „მოლაზდება“,
17.45 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „სერგო ზალარიაძე“,
18.50 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა,
19.50 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — მხატვრული ფილმი „არღანი“,
20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.00 — ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. ფერადი გამოსახულებით,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ლაპარაკობს თბილისი“ (რადიო-50). ფერადი გამოსახულებით.

11 თებერვალი

10.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „ჩარხმშენებლები“; მხატვრული ფილმი „თოჯინები დაეხმარენ“, მუსიკალური ფილმი „ზეიერი“.
17.45 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „ფეხბურთი ოუბურთოდ“,
18.10 — მოსწავლეთათვის — „ზა მშენიერებისაკენ“. ფერადი გამოსახულებით,
18.45 — „ავიფერთხილ დეთ ეროვნულ საუნჯეს“,
19.00 — ინონოკურნალი,
19.10 — „საესტრადო პანორამა“. ფერადი გამოსახულებით,
19.45 — გადაცემა ციკლიდან „ბიზნესის სამყაროში“ — „საიდუმლო სამკუთხედები“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.45 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — მხატვრული ფილმები: „დიდის ხელი“; „ბებრები“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — მხატვრული ფილმი — „სიყვარული, ხანძარი და პომპეერო“ — პრემიერა. ფერადი გამოსახულებით.

12 თებერვალი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — „ბუერატინოს ვამოფენა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.30 — მოსაიაფარი პროგრამა „ეკრანის ფოსტა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
14.15 — „ეკრანი ბავშვებისთვის“. სპექტაკლი „ალი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“. ფერადი გამოსახულებით,
18.50 — „თბილისის საკონცერტო დარბაზებში“,
14.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი — „პოზნანელი ბულბულები“,
16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის,
16.45 — კინონარკვეევი,
17.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი,
18.00 — საქართველოს რადიოს 50-ე და საქართველოს ტელევიზიის მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან. შესვენების დროს — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე ქართული მხატვრული ფილმი — „ეურზაური სალხინეთში“. ფერადი გამოსახულებით.

13 თებერვალი

10.30 — „მაღვიძარა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „შვეიცარიელთა რუსული ენა“,
11.45 — პირველად ჩვენს ეკრანზე ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი — „ამბავი მზეჭაბუკ ფინესტისა“,
13.00 — „მუსიკალური კიოსკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.30 — „კინოაფიშა“,
14.00 — „საჭადრაკო სკოლა“,
14.30 — „ციროდენას ეკრანი“ (ქართული ენაზე),
14.50 — „კინოს მოყვარულთათვის“,
16.00 — დოკუმენტური ფილმი „ვერცხლის ლიანდაგი“ (ქართულ ენაზე),
16.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არსენიევი“. ფერადი გამოსახულებით,
16.45 — „საერთაშორისო პანორამა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.15 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა,
18.00 — „კინომოგზაურთა 클ბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.00 — „ესტრადა და თანამედროვეობა“. ფერადი გამოსახულებით,
20.00 — „ლოთბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო“ (თბილისი)-ცსკა. გადაცემა თბილისიდან ელექტრონული ტელევიზიისათვის,
21.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — საერთაშორისო ტურნირი ძიუ-დოში. ფერადი ჩანაწერი.

ეკრანზე ერთვება ... ბიბლიოთეკა

ეკრანზე ... ბიბლიოთეკა

ეკრანზე ... ბიბლიოთეკა

ეკრანზე ... ბიბლიოთეკა

ეკრანზე ... ბიბლიოთეკა

ეკრანზე ... ბიბლიოთეკა

ეკრანზე ... ბიბლიოთეკა

ეკრანზე ... ბიბლიოთეკა

ეკრანზე ჯერ ... თბილისი

ტელევიზია

5 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — მხატვრული ფილმი „ბორანი“, 10.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „შვეიცარიელთა ქართული ენა“, 12.45 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმები „ხევსურეთი“. „ბავშვთა ნახატების გამოფენა“; მუსიკალური ფილმი „სიყვარული, ივერია და...“ (ფერადი გამოსახულებით), 14.30 — „დეპუტატი და ცხოვრება“, 14.50 — „სიმფონიური მუსიკის კონცერტი“, 15.35 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „მისხელ ჭიაურელი“, 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.40 — დოკუმენტური ფილმი „მთელი მსოფლიოს ქალაშვილები“ (ქართულ ენაზე), 17.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.15 — „მუსიკალური შეხვედრები“. ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 19.15 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი. ფერადი დოკუმენტური ფილმი „სიეოცხლის პარკი“, 19.30 — „დავწყმოსილი მეცნიერი „საგლე წერეთელი“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“ — გუნამ საღარაძე, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 —